პროექტი

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს კონსტიტუციაში დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ.

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია ქართველი ხალხის ეკონომიკური ინტერესების დაცვისა და გამტკიცების უზრუნველყოფისათვის.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია დაადგინოს პირობები, რომლითაც ქართველი ხალხი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს თავისუფალი მეწარმეობისა და ვაჭრობის შესაძლებლობებით. არ შეიზღუდოს ხალხის ეკონომიკური უფლებები და თავისუფლებები. ქართველმა ხალხმა თავად განსაზღვროს გადასახადების გაზრდის საკითხი და ამ გზით სახელმწიფოს დისკრეცია მინიმუმამდე დაიყვანოს.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი უზრნველყოფს საქართველოში მეწარმეობისა და ვაჭრობის თავისუფალებას. ეკონომიკური უფლებები და თავისუფლებები წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეების ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შემადგენელ ნაწილს და მათი დაცვა უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ. ამ უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ ფარგლებში.

კანონპროექტით დადგენილია, რომ ქართველი ხალხი თავად იღებს გადაწყვეტილებას გადასახადის შემოღებაზე და/ან გაზრდაზე, ამ უფლების რეალიზების გარანტიაა საქართველოს კონსტიტუცია სადაც განიმარტება, რომ სახელმწიფო გადასახდელები შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ რეფერენდუმის გზით.

ხანგრძლივვადიანი სტაბილური ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად საქართველოს ორგანული კანონი ადგენს მაკროეკონომიკურ ზღვარს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება;

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრებზე მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია – საქართველოს პრეზიდენტი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია – საქართველოს პრეზიდენტი.